„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба"

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვ-ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების" ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.

შინაური ქრონიკა

—

*** ბ. ალ. წულუკიძემ, ონის სასამართლოს პრისტავმა, როგორც უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, ამას წინად საჩივარი გაგვიმართა დიფამაციისათვის აქაურ სასამართლო პალატაში პრაგონების მიღების თაობაზედ. პალატამ დამნაშავედ იცნო, როგორც კორესპონდენტი თ. ქ. მელიქიანი, ისე რედაქტორი «დროებისა» და გადაუწყვიტა ჯარიმად პირველს 100 მანათი და მეორეს 50 მანათი. ჩვენ საჩივარი გადვიტანეთ სენატში და საჭირო დოკუმენტებიც წარვადგინეთ. ამ დოკუმენტების განხილვის შემდეგ სენატს ჩვენი არზა საფუძვლიანად უცვნია და სრულიად გაუმართლებია, როგორც კორესპონდენტი, ისე «დროების» რედაქტორი.

*** ყვარელიდამ გვწერენ: «აგერ ოთხ თვეზე მეტია, რაც ბ. მ. ცისკარაშვილმა აქ აფთიაქი გახსნა. პირველად სოფელი ნდობის თვალით არ უყურებ და თურმე აფთიაქს, მაგრამ შემდეგ მან გლეხები ძლიერ მიიზიდა. ბ. მ. ცისკარაშვილი დადის და არიგებს ავადმყოფის პატრონთ, თუ როგორ უნდა მოუარონ სნეულს. ბ. ცისკარაშვილის ამისთანა მოქმედებამ ერთი-ორად გააცხოველა აფთიაქისადმი ნდობა... გაღმა მხარე დიდი ხანია აფთიაქს საჭიროებდა. აუარებელი ხილეულობა, რომლითაც მდიდარია ყვარელი და მთელი გაღმა მხარე, ხელს უწყობს სხვა-და-სხვა ავადმყოფობას, რომლის მსხვერპლადაც მრავალნი ხდებიან უწამლობისა და მოვლის უცოდინარობის გამო... მაზრის ექიმი გაღმა-მხარეზე ისე შორს არის რომ სანამ მას გამოიყვანდენ, ავადმყოფს თავისი ემართება. ან სად შეუძლიან გლეხ-კაცობას ვიზიტის ფული ცალკე იხადოს, და ფაეტონის ფული ცალკე. რაკი გაღმა მხარეში აფთიაქი გაიხსნა, ვინატრით ეხლა საკუთარს ექიმსაც; ამ მხარეში საკმაო სოფლებია და საკუთარი ექიმის ყოლა მათ ძლიერ არ დაუმძიმდებათ.

თუ გამართლდა ის ხმა, რომ სოფ. ყვარელში მომრიგებელ-მოსამართლის განყოფილება დაარსდებაო, მაშინ საკუთარი ექიმის საჭიროება კიდევ უფრო ცხადი იქმნება».

*** ბათუმის ტამოჟნა მართლა რომ ბევრს საკვირველებას ჩადის. ტამოჟნის მოხელეთა სიერთგულე, სიბეჯითე სამსახურისადმი, ხშირად უსამართლობად ხდება. თუნდაც ეს მაგალითი მოისმინეთ: გასულს 11 რიცხვს კვირას ბათუმიდამ გამოსვლაა დაუპირებია ვინმე ლეჩხუმელ ჯაფარიძეს მეუღლით. ცოლ-ქმარი რამდენიმე დღით ჩამოსულან ბათუმის სანახავად, ცოლს შეუკერავს ჩესუნჩის კაბა და ეხლა შინისკენ ბრუნდებოდნენ. ეს ჩესუნჩის კაბა ცოლს ზედ ჩაეცვა. ამას გარდა არაფერი ბარგი იმათ არ ჰქონდათ რაო. ტამოჟნა გადასახადს თხოულობს კაბაზე, რომელიც ზედ აცვია ჯაფარიძის მეუღლეს. ქმარი ეწინააღმდეგება და გაცეცხლებულს წამოსცდება, თურმე, სიტყვა, რომელსაც ცენზურის კანონები ვერ შეიწყნარებდა. «რაკი ეგრეაო—გამოაცხადებს ტამოჟნის მოხელე—მაშ.. უბრძანებს, ქალს გახდიან კაბას და ისტერიკა-მორეულს გააბრუნებენ ქალაქში. შეკრებილი ხალხის ძლიერ აღელვებინა ამ შემთხვევას. ქმარს საჩივარი მიუცია და იმედია ასეთი უკაცური ქცევა პასუხის-უგებლად არ ჩაივლის. («ნოვ. ობოზ.»).

*** ორმა სამსჯავრომ გაამართლა ბ. ყარანგოზიშვილი, რომელმაც სილა გაარტყა ქრისტეფორე თაიროვს. თაიროვმა კასაციური თხოვნა გადიტანა სასამართლო პალატაში, მაგრამ აქაც უყურადღებოდ დასტოვეს ეს საჩივარი.

«დროების» კორესპონდენციები

—

სურამი, აგვისტოს 21-ს. წლევანდელმა ზაფხულმა ჩვენს დაბაში ძლიერ უფერულად ჩაიარა. აღარსად იყო არც როტონდო, არც ცეკვა ევროპიული და ჩვენებური, არც აფიცერ-კავალერები კომპლიმენტები და არც გულის თრთოლა დამჯდისა. უყველა ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს; მაგრამ სამწუხარო ესაა, რომ ამასთან სრულიად აღარ გვესმოდა ჩვენი მილიციონერების ვაჟკაცური ჰარიჰალალე, ველარ ვხედავ და მათ საოცარს სროლას მიზანში და აღარ ვსიამოვნებდით მათი შნოიანი ლეკურით და ლაზათიანი ფალავნობით ჭიდაობაში, როდესაც იგინი გლდანელივით პანტასავით ისროდენ ერთმანეთს. რას იზამ? ჩვენი წუთი სოფელი სულ შურით არის მოწამლული და გაფუჭებული. შეშურდა თიანეთს ჩვენთვის ქულაჯიანი მხედრობა, ქვებით ცაში აიყვანა თავისი თავი, დაუყარა რაღაც საძაგელი ჭორები ჩვენს ტურფა სურამსა და გადიბირა თავისაკენ მარსის მსახურნი ჩრდილოეთისაც და

მგზავრის საღამო მთებში

მთაზედ შემოვხე, გაგრილდა
გულ-მკერდი ნაბარალია;
გულზედ დამესხა ნექტარი,
უკვდავებისა წყალია;
თვალთაც აუჩნდათ ნათელი,
მუხლებს მოეცა ძალია

დაჰბერ დაჰბერე, ნიავ,
ცივო წყაროვ მინდვრისა,
ხელში გამსჭვირვო მინავ,
მამქარვებელო ჭირისა!
ნისლები გადამეყარა,
გული აღარა ტირისა.

აგერ-აგერა გაჰხედეთ,
მთებზედ მკვდართ*) მზენი ჰკრებიან;
ლეშით ნასისხლი ყორნები
ჭიუხში ეშურებიან;
მინდვრებს დაეცათ უკუნი,
მთები სათევლად სხდებიან

ზოგი წევს, ზოგი აჭრილა,
ქედი ვაკეებს დაჰრთვია;
ტყე ველსა, თოვლი ყინულსა,
ბრაწი*) კინჭუხებს შაჰრთვია;
ხევი ხევს მისდევს, მთა-მთასა,
გორი გორს გადაჰხლართვია.

გავკვირვებივარ ზინდ-ბანდსა,
მთა-ღრეში შეღამებასა;
ცხვრის და მემცხვარის ზრიალსა,
ვარსკვლავის გათხოვებასა.
მივალ, მიმელის გზა გრძელი,
მოველი გათენებასა!

ბაჩანა.

1885 წ.

*) მკვდართ მზენი — ამას ეტყვიან მზის ჩასვლის დროს მთებს რომ ალიონის მოყვითანო ნათელი დაადგება.

*) ბრაწი—პატარა მცენარეა მთებში.

დედა

მოთხრობა ფ. მერიეტისა.

(შემდეგი *)

არასოდეს არ დამავიწყდება იმის სახის მეტყველება იმ წამს, როდესაც მომვარდა იგი წინ მოსაგებებლად და მიმიკრა თავის გულთან. ჩემ თვალწინ იდგა ნაზი, მშვენიერი დედა-კაცი, სევდიანის აჩრდილით ალერსიან სერიოზულ თვალებში.

— მაშ აი როგორია ჩარლ მერი, სთქვა იმან, და დაშტერებით ჩააკვირდა ჩემს სახეს.—მე ყველგან გიცნობდი, ჩემო გვრიტო, სადაც უნდა მენახე, რადგან პირ-წავარდნილი მამა-შენი ხარ! აბა, რას ჰფიქრობ ჩემზედ: მე ვინა ვარ?

— არ ვიცი! ძრძალვით ვუპასუხე მე, ამისათვის რომ მისის მურეი გავიდა და მარტო დამტოვა უცნობ ადამიანთან.

— მე შენი დედა ვარ, ძვირფასო ბიჭიკო, შენი ახალი დედა და შენ მე მეყვერები! მხლა იმისთვის მოვედი, რომ შინ წაგიყვანო.

დედა და შინ! რა მშვენივრად ისმენდა ჩემი ყურები ამ გრძნობიერ ნაცნობ სიტყვებს, ნაცნობს, მაგრამ აქამდის, მარტო სხვისათვის ნათქვამს! მე წარმომიდგა, რომ ასკილის ყვავილებმა უფრო ძლიერი სურნელება აღმოუშვეს და ფრინველების ჭიკჭიკი ჯადოსნურ მუსიკად გარდაიქცა.

— მამაც ჩვენთან იქნება? ვკითხე მე აღშფოთებულის ხმითა.

— მამა? რასაკვირველია! განა უიმისოდ ცხოვრება შეგვიძლიან? მე ვგონებდი, რომ უიმისოდ ვერად უკეთესი იქმნებოდა, ვიდრე იმასთან, მაგრამ ინსტინქტურად შევიმაგრე თავი და არა ვსთქვი-რა.

— განა არ გიყვარს მამა, ჩემო გვრიტო? განაგრძო ლმობიერის კილოთი ყმაწვილმა ქალმა.—თუ არ მოგსვლია თავში ფიქრი, რომ იმას შენ უყვარხარ?

— სწორე გითხრათ, არ ვიცი!—ვუპასუხე მე და ჩემი თითების ბოლოებს წიწკნა დავუწყე

— საბრალო ბავშვო! მაგრამ, ეხლა სულ სხვა იქნება; თუმცა ჯერ არ გამიგონია შენგან, თანახმა ხარ თუ არა, რომ მე შენი დედა ვიყო?

— მე მგონია, რომ მე ძალიან მეყვარებით თქვენა!

— ძალიან კარგი; მაშ ჩვენ შეგვიძლიან ერთად შინ წავიდეთ და ვეცადოთ, კარგად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. შენ დედა გინდა, და მეც დიდი ხანია მინდოდა მყოლოდა პატარა ბიჭიკო, რომ მყვარებოდა იგი. ჩვენ აღარ დავშორდებით ერთმანეთს, ჩემო ჩარლი, ჩემო სასურველო შვილო! მადლობა ღმერთსა, რომ გიპოვნე. შენ ისეც, დიდი ხანია, დაშორებიხარ შენს სახლსა. აი იმ სა

*) იხილე „დროება" № 180,

სამხრეთისაც. ამისათვის ჩვენ, რასაკვირველია, შურიანს თიანეთს ვერ დავლოცავთ. პირიქით უფალს მხურვალე გულით შევთხოვოთ, რომ მას არ ააცილოს გულვარდის ბედი და სურამს დაუბრუნოს მილიციონერები ისე, როგორც ბოლოს დაუბრუნა რამინი მის საყვარელს ვისსა.

ხშირად აყროლებულს ჭაობში, სადაც უშნო ჩალის და ბორხონის მეტი არ ხარობს-რა, შეხვდები მშვენიერს ყვავილს, რომელიც თვალსაც ასიამოვნებს და ყნოსვასაც დაგვიტკბობს. ამ გვარი ყვავილივით დაამშვენა წლევანდელი ჭაობური ცხოვრება სურამის კანცერტმა და სპექტაკლმა, რომელნიც გამართულნი იყვნენ «ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ, როგორც უკვე უწყის მკითხველმა. სანუგეშო და სასიამოვნოა, როდესაც რომელსამე საზოგადოებაში, რომელიც, ყოველ-დღიურს ეგოისტურს წვრილმანობაში ყელამდის არის ჩაფლული, იჩენს თავს მოვლენა, რომელიც აშკარად ხდის, რომ აქაც იპოებიან პირნი, რომელთათვის ქვეყანა არა თავდება თავისი საკუთარი ჯიბით, კუჭით და სახლით, რომელთ ესმით საზოგადო ტკივილი და სწადიანთ თვითონაც დაეხმარონ, შეძლების დაგვარად, მისს განკარგულებასა.

როდესაც პატივცემულმა ეკატერინე ადამის ასულმა მოატისამ გამოაცხადა სურვილი კანცერტის გამართვისა «წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ», ყველას ეუცხოვა: ჩვენს ცარიელს და დაობებულს სურამში ან სად იშოვებიან დამკვრელნი და მომღერალნი და ან ვინ დაესწრება კანცერტზედაო, ამბობდენ აქეთ-იქიდგან. თუ შარშან სპექტაკლს დარი დაუდგა, ეს იმისგან მოხდა, რომ მთელი ჩვენი დაბა გაჭიკნილი იყო მეზაფხულეებითა და მთელი ბრიგადა მილიციით შიგ იდგა, უმატებდენ. წელს-კი სწორედ კაც-ნახევარი მოიპოება აქ და მეთაოსნენი ტყუილად შეიწუხებენ თავსაო, ათავებდენ. მაგრამ სიმარჯვეს, მოაზრებას და მხნეობას არაფრისაგან შესძლებია საქმის გაკეთება. ამ არაფრობაში და არარაობაში ისეთი შნოიანი, კოხტა და შინაარსიანი კანცერტი გამართეს მოატის მეუღლემ და თვითონ მოატმა, რომ სატახტო ქალაქებსაც ხშირად არ ეღირსებათ ხოლმე მსგავსი. არა ერთი ბულ-ჩვილი ქართველისათვის იყო სასარგებლო, ენახა, თუ როგორ ერთგულად და გულ-შემატკივრობით ექცეოდა ამ საქმეს ინგლისელი მოატი. მან არც შრომა დაიშურა და არც ხარჯი, რომელიც იყო საგრძნობელი, რადგანაც, სხვათა შორის, სხვის სახლში, ზალის გადიდებისათვის, შუაკედელი ჩამოანგრია და შეუერთა მას ოთახი იმ პირობით, რომ ეს დანგრეული კედელი თვითონვე გააკეთოს თავის ხარჯითა. ამ სახით მთელი კანცერტის შემოსავალი 120 მანათი მთლად უკლებლივ გაეგზავნა «წერა-კითხვის საზოგადოების» მმართებლობას.

ამდენადვე იყო შესანიშნავი სპექტაკლი, რომელიც იქმნა გიმართული თავ. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძის ხერხეულიძის და ამათის მეუღლის თაოსნობით და გამგებლობით. ბევრნი უქადოდენ სპექტაკლს ცუდს ბედსა, რადგანაც ეგონათ, რომ კანცერტზედ მყოფი პუბლიკა ამ ქესატობაში მეორედ ხარჯს მოერიდებოდა, არ დაესწრობოდა სპექტაკლზედ და იგი უნაყოფოდ ჩაივლიდა. მაგრამ პატივცემული სახლობა დიდის გულადობით და მხნეობით მოეპყრო საქმესა, ასე გასინჯეთ ბილეთები თვითონ მეთაოსნეებს დაჰქონდათ არამც თუ მარტო სურამში, გარეშემო სოფლებშიაც ამიტომაც სპექტაკლს დაესწრო კიდევ უფრო მომეტებული პუბლიკა, ვიდრე კანცერტსა, და დაესწრობოდა ბევრით მეტი, თუ ადგილს ნება მიეცა. მთელი ზალა ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსის ყუნწი არ ჩაიგდებოდა. წარმოდგენამ ძლიერ გვარიანად ჩაიარა. ზალაში სივიწროვისაგან და სიდაბლისაგან საშინელი ლული და ტოთი იდგა, მაგრამ ამას ყველა ივიწყებდა, როდესაც სცენაზედ ხედავდა ხელოვნურს თამაშს ნატ. ბაბუნია—ცაგარლისასა, ბატ. ა. ყიფიანისა, აკაკის კითხვას (წაიკითხა ომის აღწერა—საუკეთესო ადგილი თორნიკე ერისთავისაგან). სწორედ დიდი მადლობის ღირსნი არიან აკაკი, ნატ. ... მურაბის ასული, ა. ყიფიანი, ს. რ. ყიფიანისა, ბ. აბაშიძე, პ. ყიფიანი, ს, ღონღაძე და სხვ.

მაგრამ თუ ამ პირთ დაიმსახურეს გულითადი მადლობა, იყო იმისთანა პირიც, რომელიც საყვედურის ღირსია. მას მიეღო ერთი უმთავრესი როლი და მაინც კიდევ არ დაეშალა წასვლა თავის შორეულს სოფელში. ამის გამო ორი პიესის მაგივრად ითამაშეს მხოლოდ ერთი პიესა.

სპექტაკლის შემდეგ თავ. ხერხეულიძე მეუღლითურთ ქართველურად გაუმასპინძლდენ ყველა მონაწილეთა. როგორც ამ მასპინძლობის ხარჯი, ისე სხვა გვარი დანახარჯი პატივცემულმა სახლობამ თვით იკისრა. ამიტომ მთელი შემოსავალი ას ორმოცამდე მანათი დარჩა. «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ.

ამ სახით წელს ღარიბმა დაბამ—სურამმა ძღვნად მოართვა საზოგადო საქმეს ოცდა ექვსი თუმანი და შვიდი მანათი. საქართველოში ქალაქი და დაბა იქნება ოცზედ მეტი. ყველამ რომ ამდენი მაინც შემწეობა აღმოუჩინოს «წერა-კითხვის საზოგადოებასა», მისი კოჭი სწორედ ალჩუ დაჯდება.

მოთაოსნეთ გადაწყვეტილი აქვთ არამც თუ ყოველ ზაფხულს ამისთანა კანცერტი და სპექტაკლი გამართონ, ზამთრობითაც სცადონ.

დროებით სურამელი.

ს. ყვარელი, აგვისტოს 13-ს. ს. ყვარელი თელავის მაზრაში ერთ უდიდეს და შეძლებულ სოფლად ითვლება. იგი მდებარეობს კავკასიის ქედის და კუდი გორას შუა. მას მხოლოდ სამხრეთის მხრივ აქვს აცილებული მთა, დანარჩენ მხარეებზე კი მთებით არის შემოზღუდული. თუმცა ასეთი მდებარეობა აქვს ყვარელს, ზაფხულობით აქ მაინც ძლიერ არა ცხელა. გარშემო ტყით შემოსილი მთები, გრილი გამუდმებული ნიავი და თვით სოფელში კარგა მოზდილი ხევი (ბურსო) საკმაოდ აგრილებენ ჰაერს.

ყვარელში ექვსასამდე კომლია. მოსახლეები ყველანი ბურსოს ორივე მხარეზედა სდგანან. ყველას წინ აუცილებლად ბაღჩა აქვს გაშენებული. ვენახები კი სოფლის გარშემოა. ბურსო კარგა მოზდილი მოდის, ასე რომ ნაპირებზე უთვალავ წისქვილებს გარდა სოფელს კალოების, ბოსტნეულობის და ვენახების სარწყავადაც ჰყოფნის. ბურსოს გარდა, ყვარელს მახლობლად რამდენიმე კარგა მოზდილი მთის წყაროებიც ჩამოუდის. წყლის სიუხვის შემწეობით წლევანდელმა არა-ჩვეულებრივმა გვალვამ, მაგრე რიგად მოსავალს ზიანი ვერ მისცა. მართალია, წელს ყვარელშიაც მოსავალი ცოტა ნაკლებად მოვიდა, მაგრამ ეს ნაკლი, სხვა კახეთის სოფ-

---

თვის მოვედი დღეს შენთან, რომ დამეჩქარებინა შენი სახლში დაბრუნება.

ჩემი ახალი დედა რამდენჯერმე სიამოვნებით იმეორებდა ამ სიტყვებს, თითქოს იმასაც ისე ძლიერ ასიამოვნებდა, როგორც მე.

— თქვენ კი არ მოგვშორდებით ჩვენა? ვკითხე მეც ჩემის მხრით.

— რასაკვირველია, არა! მე ყოველთვის თქვენს სახლში დავრჩები. რას გამოგადგება დედა გყავდეს, თუ ყოველთვის შენთან არ იცხოვრებს, რომ ანუგეშოს თავის ბიჭიკო და იზრუნოს იმისათვის, როგორც კი შეუძლიან?

— მაშ, თუ აგრეა, ჩქარა შინ წავიდეთ! შევყვირე მე, და წრფელის გულით დავაწყე იმის კალთაზე ჩემი ხელები.

შიში უცნაურისა და დაღვრემილის მამი-ჩემისა უკვალოდ გაჰქრა ჩემს გულში. ახალი დედა მყავდა მე იმედად და მისაყრდნობელ ბურჯად ყოველ შესაძლებელ ოჯახის არეულობაში. ჩემმა ბავშურმა რწმუნებამ ალტაცებაში მოიყვანა იგი.

— წავიდეთ, ჩარლი. ჩვენ ნუ მოვუცდით, სანამ შენს ბარგს ჩაალაგებდენ. მისის მურეი გამოგზავნის ხვალ ლილიფილდში; მამა-შენი მოუთმენლად ელის ჩვენს დაბრუნებას და, უეჭველია, სწუხს.

მიმელის მოუთმენლად, სწუხს! ეს ისეთი უცნობი იყო ჩემთვის, რომ გააოცა ჩემი ბავშური გონება. ჩემის გულ-წრფელობით, ვერ მივხვდი, რომ მამა საყვარელ ქალისათვის სწუხდა და არა ჩემთვის. მე არცკი მესმოდა, რომ ის იმის ცოლი იყო, მე წარმოდგენილი მყავდა მხოლოდ ჩემთვის ახალ დედად.

სასწავლებლიდამ გასვლის დროს, მე ნება ვსთხოვე გამოვესალმებოდი ჩემს მეგობარს ჯემის.

— იმასაც ჩემსავით მოჰკდომია დედა, ვუთხარ მე განსამარტებლად.— იმასაც გაეხარდება, რომ ეხლა მე ახალი დედა მყავს.

საბრალო ბავშვი! სთქვა ქალმა ამოოხვრით,—ჩვენ წავიყვანოთ ეგ ჩვენთან ზაფხულში, კანიკულების დროს, ჩარლი. მოწყალე ღმერთმა იმოდენი ბედნიერება მოგვცა, რომ სხვისთვისაც უნდა ვიზრუნოთ.

ჯემი მოვიდა ჩვენთან თავის ჯოხებით. იმან ღიმილით მოისმინა ჩემი არა—ჩვეულებრივი ამბავი და ისურვა ჩემთვის ყოველი კეთილი. დედა-ჩემი შეჩერდა და აკოცა მას ფერ-მკრთალს შუბლზე. შემდეგ ჩვენ გავიარეთ სკოლის ეზოზედ. მე ჩამოვეკიდე იმას მკლავზე, ვამპარტავნობდი, რომ ჩემმა ამხანაგებმა შენიშნეს მისი კეთილსახიერება და ვფიქრობდი, რომ ამ წამიდგან იმას ერქმევა ჩემი დედა.

ლილიფილდსი, მამიჩემის მამული, მდებარებდა ათის ანუ თორმეტ მილის მანძილზედ მისტერ მურეის სკოლიდან. ჩვენ რკინის გზით უნდა გვემგზავრნა, და მე არასოდეს არ მივლია იმ სიამოვნებით, როგორც ეხლა მივდიოდი. ჩემი ახალი დედა ხალისიანად იცინოდა და მხიარულად მელაპარაკებოდა მთელი გზა, ასე რომ მეც მალე გარდმომედო იმის სიმხიარულე და გამოვააშკარავე ჩემს უწინდელს ცხოვრებაზედ ბევრი რამ იმისთანა, რამაც არა ერთხელ გადააფინა იმის ბრწყინვალე სახეს სევდის ღრუბელი და ყმაწვილმა ქალმა არა ერთხელ მძიმედ ამოიოხრა. როდესაც ჩვენ ჩამოვედით მატარებლიდან და წავედით ქვეითი ლილიფილდისკენ, მე ხელ ახლად შიშმა ამიტანა; აღარას ვლაპარაკობდი და შიშისაგან დედას ვეკვროდი. იმან მაშინვე შენიშნა ეს ცვლილება.

— რა დაგემართა, ჩარლი? რისა გეშინიან?

— არ გაჯავრდეს მამა იმაზედ, რომ მე ერთი დღით წინად მოვდივარ? წავიტუტუნე მე.

ჩემი თანა მგზავრის წკრიალა სიცილი იყო ჩემს პასუხად.

— თუ ის ვისმეს გაუჯავრდება ამისათვის, მაშინ უსათუოდ მე უნდა გამიჯავრდეს, ამიტომ, რომ თითონ მე წამომიყვანე სკოლიდან, ჩარლი

— განა თქვენ კი არ გეშინიანთ იმისი?

— იმისი უნდა მეშინოდეს!

ნარნარმა და სერიოზულმა ყმაწვილი ქალის თვალებმა გამოხატეს ულრმესი გაოცება ჩემი ნათქვამის გამო, მაგრამ უცებ გაბრწყინდენ გამტაცი ლტოლვილების სიხარულით, როდესაც იმან მოულოდნელად დაინახა გზის მოსახვევთან ჩვენკენ მომავალი მამიჩემის ფიგურა.

— აი ისიც! მხიარულად შეჰყვირა

ლებთან შედარებით, ისეთი მცირეა, რომ მასზედ ხმის ამოღება არა ღირს. ვენახებიც მორწყვის გამო კარგ მოსავალს უქადის ყვარელელებს. ერთი სიტყვით სოფ. ყვარელი აცილებულია იმ შემაძრწუნებელ და გულის-საკლავ სიტყვებს: «ვშიან, საქონელი — გვეხოცება სიმშილით», რომელსაც წელს ხშირად გაიგონებთ კახეთში.

თუ წლევანდელმა გასაჩანაგებელმა წელიწადმა ვერაფერი დააკლო ყვარელს, რასაკვირველია, სხვა დროსაც ყვარელელებს საკმაო სარჩო მოსდით. ამითი აიხსნება, რომ ყვარელში მომეტებული წილი მცხოვრებთა კარგა შემძლებელნი არიან. შეძლების და გვარად ხალხი არა ზოგავს სოფლის საკეთილო-დღეოთ არაფერს.

აქ არის ორ-კლასიანი სასოფლო სკოლა და «გამსესხებელ-შემნახველი» ამხანაგობა.

დიაღ! «გამსესხებელ-შემნახველი» ამხანაგობა არის, ანუ უკეთ ვსთქვათ ყოფილა, მაგრამ საუბედუროდ, როგორც ყველგან, დაუდევრობის წყალობით მცირედი შკაფი, გაყვითლებული თამასუქები და დავთრები-ღა ამშვენებენ დღეს ბანკის სადგურს.... როგორც შევიტყეთ ბანკის საქმე კარგად სწარმოებდა პირველად. თუმცა პირველადვე გამოსჩენოდენ ამ კეთილ საქმეს უკულმართი პირები და ცდილიყვნენ კიდეც მისს ამოგვას, მაგრამ სოფელს მათი ენატანიობა გამოეაშკარავებინა და შესაფერად დაეჯილდოვებინა კიდეც იგინი. ასევე შეეძლოთ შემდეგშიაც მოქცეულიყვნენ და დღეს ბანკის ფულები ცარიელ ქაღალდად არ გადაექციათ, მაგრამ ბედ იღბალი ისეთს პირს ჩაუგდია ხელში, რომლის წინააღმდეგ შიშით დალაპარაკებასაც ვერ ბედავდენ აქაურები. ვაი მას ვინც მის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს; თურმე, მას ისე ჰყავს მთელი სოფელი შეშინებული. ეს პირი სოფლის შემძლებელთაგანი მებატონეა და პატივსაცემიც, მაგრამ საზოგადო საქმემ არც ნაბატონარი იცის და არც პატივისცემა, თუ კი იგი უკულმა ბრუნდება.

სოფლის ღრმა პატივისცემამ ამ პირისადმი ბანკს ჯერ-ჯერობით სიკეთე არ დაჰმართა. სწორედ საკვირველია, რომ ელ სოფელშიაც კი, ჩვენს ქვეყანაში, რაიმე საკეთილო და სასარგებლო საქმე დაიწყება, უეჭველად დღე მალე ელევა. რადა? მიტომ რომ საქმეში ერევიან უზრუნველი, დაუდევარი და სხვის ფულით მოსარგებლენი...

კახელი.

რუსეთი

◆◆ მოგვყავს რამდენიმე ადგილი «მოსკოვის უწყებების» მოწინავე წერილისა, რომელიც შეეხება საზღვარგარეთის (განსაკუთრებით ინგლისის) დრო-გამოშვებათა გამოცემების აზრებს რუსეთზე და მისს სამხედრო ძალაზე. «ინგლისურ დრო-გამოშვებით გამოცემათათვის ამ ხანად ერთად-ერთი სამოდო თემა გამხდარა «რუსეთი» როგორც ყოველ-დღიური აგრეთვე თვიური გამოცემანი მთელს ძალ-ღონეს იკრებენ რუსეთზე სალაპარაკოდ. და სად ჰპოულობენ ამ გვარ ცრუ ცნობათ რუსეთზე ინგლისის პუბლიცისტები, რომელნიც მუდამ ყოყოჩობენ «სარწმუნო წყაროებით»? რომ თეთრი შავად და შავი თეთრად გამოსახონ, ისინი ასეთს თავხედურს საშუალებათ ხმარობენ: — უახლოვდებიან რუსეთიდამ გაქცეულ კატორჟნიკებს, რომელნიც პოლიტიკურ დამნაშავეთა წოდებას ითვისებენ, შეუკვეთენ ხოლმე რუსეთის წინააღმდეგ პასკვილებს და ეფუძნებიან ამ ცნობათ როგორც ნამდვილს საბუთებს!.. ამ გვარი განუსაზღვრელი ნდობა ინგლისურ რედაქციებისა დაუმსახურებია, სხვათა შორის, გენ. მეზენცოვის ერთს მკვლელთაგანს, რომელსაც პსევდონიმი «სტეპნიაკი» ჩამოუფარებია პირ-ბადეთ. ეს «ყოჩაღი» პირველად გამოცხადდა ლიტერატურაში სიცრუით სავსე კრებულით — სახელად მიწის-ქვეშ რუსეთი, რომელიც იტალიაში გამოსცა მან. კონტინენტალურმა ევროპამ ამ კრებულს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. სამაგიეროდ ინგლისის პრესამ მთელი ადგილები გადაბეჭდა ამ კრებულიდამ და მოწინავე წერილებიც უძღვნა «მისტერ სტეპნიაკის» გამჟღავნებათა რუსეთის ვითომ «ტანჯვაზე»... ამ დროიდამ რაინდმა სტეპნიაკმა უფრო სასარგებლოდ დაინახა ინგლისში გადასახლება, სადაც გაზეთებმა და განსაკუთრებით Times-მა გადუშალეს მას თვისი ფურცლები. გასულს წელს სტეპნიაკმა დაბეჭდა ვრცელი სიცრუით სავსე წერილი რუსის უნივერსიტეტებზე და წელს იგივე სტეპნიაკი იმავე Times-ში ჰბეჭდავს წერილებს რუსის მხედრობაზე. ვისაც წაუკითხავს ეს წერილები, არ დაიჯერებს რომ ამდენს სიცრუეს როშავს ის კაცი, რომელიც დაბადებულა და აღზრდილა რუსეთში! ხსენებული გმირი, ინგლისელთ გულის მოსაგებად, მათდა სასიამოვნოდ, რუსის ჯარს სახავს ავაზაკთა-მცარცველთა დიდ გუნდად, რომელშიაც ყოველი აფიცერი ფორმალურს გაკიცხვას დაიმსახურებს, თუ მისგან ნაცარცვ-ნაგლეჯი არ შეეფერება მის ჩინს! ინგლისის განებივრებისაგან წაქეზებული სტეპნიაკი თვის სიცრუეს მოაქცევს ორს დიდ ტომში და ცალკე გამოსცემს. ამ წიგნს დიდი ყურადღება მიაპყრეს ინგლისში და კრიტიკოსები არჩევენ მას. ვრცელი წერილები რუსეთზე თვით [illegible] ინგლისურს ჟურნალ-გაზეთებში ამ ბ. სტეპნიაკის ცნობებზეა დამყარებული... სახეენ მწარე ხვედრს ყოველის კეთილის, მშვიდობის მოყვარე რუსისას, რომელსაც, ვითომ, არ ეცხოვრება რუსეთში; ყოველს ნაბიჯზე დასდევენ ჟანდარმები, უცვივდებიან სახლში და სახლიდამ აგლეჯენ წერილებს, რომლის გადაყლაპა სურს მას, რომ ამ ზომით თვისი მოკეთე მაინც დაიხსნას ჟანდარმებისაგან .. ეფუძნებიან ეს კრიტიკოსები სტეპნიაკის ცნობებს და სწერენ, რომ რუსეთში სამსჯავრონი არ არსებობენ. ... და ყოველივე ეს იწერება — განაგრძობს «მოსკოვის უწყებანი» — რომელსამე პოლშურს გაზეთში კი არა, არამედ მაღალ-განათლებული დიდი-ბრიტანიის ორგანში... ვინა ჰსურთ მოატყუონ მათ? ჩვენ? მაგრამ ჩვენ უკეთ ვიცით ფასი ამ სიცრუეებმოგონებისა. რუსეთის მეგობარი მეზობლები? მაგრამ იმათაც ხომ კარგად იციან ჩვენი საქმეები და, ჩვენი არ იყოს, ერთბაშად მიხვდებიან რუსის კატორჟნიკების და ინგლისელ შარლატანების ინტრიგებს... რას იტყოდენ ინგლისელნი, ჩვენ რომ არა თუ მხოლოდ გვებეჭდა ინგლისზე ირლანდიელ მოდინამიტეთაგან შეთხზული ეტიუდები, რამედ გვეხელმძღვანელა კიდეც ამ ნაწერებით, როცა ინგლისის წინააღმდეგ ვიმოქმედებდით? არ შეჰქნიდენ ყვირილს და არ დაგვკრულავდენ, მსგავსად იმისა, როგორც კრულვენ ეხლა აფრიკის პრესას, რომელიც ბეჭდავს ფენიების წერილებს? ირლანდიელნი-კი, რომელნიც იბრძვიან სარწმუნოებისა, ნაციონალურ და ეკონომიურ კეთილ დღეობისათვის ყოველს შემთხვევაში უფრო ღირსნი არიან ნდობისა, ვინემ «სტეპნიაკის» მსგავსი

ჩემმა ახალმა დედამ, გაიქცა მიმისაგებებლად და მეც თან მიმათრევდა.

ერთმანეთს მოეხვივნენ და ტკბილად ჩაიკრეს გულში. იმათ გარშემო არც ერთი სულიერი არ იყო; მხოლოდ ტყის ჩიტები ჭიკჭიკობდენ და დაფრინავდენ ჩირგვებში, რომელნიც გზის აქეთ-იქით იყვნენ ჩარიგებულნი. მე სრულიად გაშტერებული დავრჩი ამ მოულოდნელის ამბით, მხოლოდ ჩუმად ვიცქირებოდი იმათკენ.

— ჩემო ანგელოზო! ჩურჩულებდა მამაჩემი, მაშინ როდესაც ყმაწვილი ქალი ნარნარად ეკროდა იმის მხარს თავის სახით. მე მოთმინების ძალა აღარ მქონდა შენის ლოდინისა! თვით ამ მოკლე განშორებამ მკაცრად დამტანჯა.

— ჰაროლდ, ჩემო ძვირფასო! მე ისე მახარებს ეგ სიტყვები და ისე ბედნიერი ვარ, რომ კვალად შენთანა ვარ! შეხედე, აი ჩვენი პატარა ჩარლი გელის, რომ ამასაც მიუალერსო.

იმან ამიტაცა მე ხელში, როგორც ნამცეცა ბავშვი, და მიმიყვანა მამასთან საკოცნელად. მე ძალიან მეუცხოებოდა მამიჩემისაგან არა-ჩვეულებრივი ალერსის მიღება, მაგრამ მართლა კი მაკოცა, თუმცა განაგრძელებდა საყვარელი ქალის ცქერას. შემდეგ ხელი გამოართვა, ორთავემ ჩუმად განაგრძეს გზა და ახლოს ეკროდენ ერთმანეთს, ჩაფიქრებულნი და ბედნიერნი რომ გარეშემო დუმილი სუფევდა და ახალის გაზაფხულის მწვანეს საამოდ საყნოსველი სუნი ასდიოდა.

სახლში რომ შევედ, კინაღამ არ შევკივლე გაოცებისაგან, — ისე გამაკვირვა აქ მომხდარმა ცვლილებამ. არც ერთი ნივთი არ იყო დაძრული თავის ადგილიდამ; მებელი და სურათები იმ ადგილსვე დარჩენილიყვნენ, სადაც მე შეჩვეული ვიყავ მათს ნახვას, მაგრამ ყოველივე ეს ისე ბრწყინავდა და კამკამებდა, როგორც გაზაფხულის პეიზაჟი, რომელიც ჩემ თვალ წინ გარდაშლილიყო; ოთახები დასუფთავებულიყვნენ; თოვლსავით გათეთრებული ფარდები და სტოლზედ სუფრები მათ სადღესასწაულო სახეს აძლევდა. საგანგებოდ გაწმენდილ ხალიჩებს, ყვავილებით სავსე ვაზებს, წვრიმან ნივთებს ჩინეთის ფარფორისას ბუხარზე დალაგებულებს დაღვრემილი სახლი, თუმცა სამოთხედ ვერა, მაგრამ მისაყრდნობელ ბუდეთ გადაექციათ, სადაც სიამოვნებით დაბინავდებოდით. თვით მამა ჩემიც სრულიად გამოცვლილიყო თავის სახლსავით. ის ათი წლით ყმაწვილი გამოიყურებოდა თავის ხანზედ; იმის თმა და წვერი წმინდად დავარცხნილნი იყვნენ, და სახეს დაეკარგა შეთვისებული მრისხანე გამოხატულობა; საუკეთესო ხავერდის სერთუკი კოხტურად ადგა ტანზედ. ის იჯდა სელზე და ალერსიანად ებაასებოდა ჩემს ახალ დედას, რომელიც ჩასციებოდა, რომ ჩექმები გაეხადნა და ფლოსტები ჩაეცვა. ამ გვარი მზრუნველობა ჩვენთვის შეუჩვევარი რამ იყო და მეც მამაჩემზედ არა ნაკლებათ გაოცებული დავრჩი, როდესაც დედამ წამიყვანა ზეით და თითონ დამბანა, ჩამაცვა და დამვარცხნა სალამოს ჩაისათვის; თანაც არა ზოგავდა ჩემს ალერსსა და კოცნას. რა სიამოვნებით მივეკედლენით ჩვენ შემდეგ ამისა ჩაის სტოლს. რა რიგად განსხვავდებოდა ყველა ეს აღრინდელისაგან. მე ვიჯექ დედაჩემთან და წინ გემრიელად გაკეთებული საჭმლით სავსე თეფში მედგა. მამაჩემი ხელის ზურგს მიყუდებული, ადევნებდა სიყვარულის გამომხატველ თვალებს ამ ქალის ყოველ მოძრაობას. ისეც მარდად და ნარ-ნარად იღებდა ფინჯნებს და ხმარობდა ჩაინიკს; გვიღიმებდა ჩვენ ორთავეს და მხიარულად გვემუსაიფებოდა; სიამოვნებისაგან თითქოს მადა დაჰკარგოდა. მამამ შენიშნა და შეშფოთდა.

— ისე ძალზე ბედნიერი ვარ, ჰაროლდ, რომ ჭამისათვის არა ვფიქრობ, სთქვა იმან სიწითლე-მორეულმა.

— ძალიან ბედნიერი! გაიმეორა მამაჩემმა, მდაბალი ხმითა. — მართლა ამბობ, ძვირფასო მერი? განა შენ არა გენანება-რა, არასი გეშინიან? განა მომავალი არ გაშინებს შენ და არ ნანობ ამ გაბედულ ნაბიჯს, რომელიც შენ გადასდგი.

— სრულიადაც არა, ჰაროლდ! მე მხოლოდ იმას ვნანობ: ათი წლის წინად რატომ არ გიცნობდი?

— ღმერთმა გაკურთხოს შენ მაგისათვის! სთქვა მამამ.

(გაგრძელება იქნება)

«პრაქტიკული ნიგილისტები», რომელთაც არა სწამთ არც ხალხოსნობა, არც რჯული, არც სახელმწიფო, არც საკუთრება არც კანონი, არც სინიდისი და მოვალეობა».

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 22-ს.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა და გაკუფების მინისტრებს მინდობილი აქვთ მოილაპარაკონ დრუმონდ ვოლფთან.

სიმლა. ამან იქით ინდოეთის ჯარის ოფიცრებს გაუადვილდებათ სამსახურიდამ დროებით დათხოვნილ იქმნენ ხოლმე.

სტოკგოლმი. ინგლისის მემკვიდრე პრინცი ჩამოვიდა აქ და ეწვია შვეციის კოროლს.

განცხადებანი

აძლევენ

ქირით სადგურს

სადილ ვახშმით და მუსიკით მდგმური უეჭველად ქალი უნდა იყოს. «პონიუშენნი» ქუჩა № 8, სახლი თ დი არლუთინსკისა.

(5—5)

ისყიდება

დუქნები და ცარიელი ადგილები

რომელნიც ეკუთვნოდნ

ივანე მინას ძე მირზოევის

მემკვიდრეთ ქ. თბილისში მიხაილოვის ხიდზედ და მის ორივე გვერდებზედ, ერთად ანუ ნაწილ-ნაწილად და აგრეთვე სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, სადაც არის ეხლა სასტუმრო «გრანდ-ოტელი»

მსყიდველებს შეუძლიანთ მიიქცენ 1-ს სეკტემბრამდის «კავკაზის» სასტუმროში № 37

(5—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ ,,დროების‘, რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე**, ხარისხის-[illegible]-ლობაზე. ხელის-მომწერთ [illegible] შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

გ. ქართველიშვილი.

(25—23)

UN PROFÉSSEUR

De langue et de LITTÉRATURE FRANÇAISES désire entrer dans une famille comme précepteur.

S'adresser à la LIBRAIRIE BAERENSTAMM. (3—2)

ბალანსი

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისს 1885 წლისა.

აქტივი.

კასსა: ნაღდი ფული — — — — —	4,352	18		
გირავოს ფურცლები — — — —	79,600	—	83,952	18
ფული მიმდინარე ანგარიშებზე:				
ა, სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში — — — — —	80,424	29		
ბ, თბილისის კომმერციულს ბანკში —	15,900	86		
გ, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში — — — — —	35,001	78		
დ, კორრესპონდენტების ხელში — —	106,055	04	237,381	97
საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში — — —	—	—	30	—
სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში:				
ა, გირავოს ფურცლების გამოცემის უზრუნველ-საყოფლად (§ 50 წესდ.) (220,000)	202,417	39		
ბ, ტირაჟში გამოსულთ გირავოს ფურცელთა და კუპონთა ზღვევის უზრუნველ-საყოფლად (50,000) — — —	46,763	80		
გ, სათადარიგო თანხის სასაკუთრონი (39,000) — — — — — —	35,756	72	284,937	91
სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასსაში:				
ა, ბანკის სასაკუთრონი (14,200)— —	12,804	14		
ბ, საზოგადო საჭიროებათა თანხისა 8,100)	7,452	—		
გ, სასტიპენდიო თანხისა (8,700) — —	7,819	40	28,075	54
სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 ივლისამდე 1885 წლისა—	—	—	2,366	67
სესხნი: ა, სოფლის ადგილ-მამულებზე, 43½ წ.	938,400	—		
ბ, ქალაქის მამულებზე. 18 7/12 წლით —	2,499,200	—	3,437,600	—
„ მოკლე ვადიანნი — — — — —	—	—	67 190	—
მოვალენი: ა, შემოსატანი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა — — — — —	—	—	182 465	21
ბ, შემოსატანი ფული ვადას გარდაცილებული — — — — — —	—	—	124,288	95
გირავოს ფურცელნი, ვადის მოსასპობლად წარმოდგენილი — — — — —	—	—	19,300	—
ვადამდე დახურდავებული კუპონები — —	—	—	63	—
სხვა და სხვა დებიტორები — — — —	—	—	29,839	—
ხარჯები: ა, დასაბრუნებელნი — — —	—	—	17,279	48
ბ, მოწყობ-მორთულობაზე — — —	—	—	1,378	43
ბანკის ხარჯები მმართველობაზე და სხვანი—	—	—	10,588	20
გირავოს ფურცლების და კუპონების საზღვეველი კომმისსია — — — — —	—	—	1,202	50
სამ-სარგებლიანი ლალა ბანკის წმინდა მოგებიდან — — — — — —	—	—	394	64
ბალანსი	—	—	4,528,333	68

პასსივი.

ძირეული თავნი — — — — — — —	—	—	507,111	08
სათადარიგო თანხა — — — — —	—	—	40,177	19
თანხა: ა, საზოგადო საჭიროებათა — —	—	—	10,518	12
ბ, სტიპენდიებისა— — — — —	—	—	9,358	48
გირავოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი:				
ა, 43½ წლიანნი— — — — —	938,400	—		
ბ, 18 7/12 „ — — — — —	2,499 200	—	3,437,600	—
თანხა, სესხთა მოსასპობი:				
ა, 43½ წლიანთა — — — —	3,389	33		
ბ, 18 7/12 „ — — — — —	58,294	26	61,683	59
„ სარგებლისა:				
ა, 43½ წლიანთა — — — —	28,138	19		
ბ, 18 7/12 „ — — — — —	74,493	57	102,631	76
ფული, გადადებული საზღვეველად:				
ა, გირავოს ფურცელთა, ტირაჟში გამოსულთა — — — — — —	79,300	—		
ბ, გირავოს ფურცელთა კუპონებისა —	107,307	—	186,607	—
ვადამდე მოსპობილნი სესხნი:				
ა, ნაღდი ფულით — — — —	668	81		
ბ, გირავოს ფურცლებით — — —	19,300	—	19,968	81
სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა — —	7,019	47		
ჯარიმა — — — — — — —	5,012	76		
სხვა და სხვა სარგებელი — — — —	9 933	07		
ერთ დროებითი შემოსატანი ფული — —	436	48		
ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვ.	39,517	—	61,918	78
გადასაცემი ფული — — — — — —	—	—	2,478	77
სარგებლიანი ქაღალდები კასსაში:				
ა, შესანახავად — — — — —	29,300	—		
ბ, ბანკის სასაკუთრონი და სხვ. — —	50,300	—	79,600	—
სხვა და სხვა კრედიტორები - — — —	—	-	216	11
ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი — — —	—	—	8,369	04
სახელმწიფო 5% ლალა გირავოს ფურცლების კუპონებისა — — — — —	—	—	94	95
ბალანსი	—	—	4 528,333	68

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Августа 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი